საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

25/02/2025

MES 7 25 0000210336

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.02.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:55 სთ
სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
2. **დავით ტეფნაძე -** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
5. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

7. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
8. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
10. **ხათუნა თოდაძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
11. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** –შპს „კავკასიის უივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
14. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ქეთევან ინანაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **გვანცა ძიძიგური -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
3. **მარიამ ბერიძე -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი

- თამარ გარდაფხაძე - რექტორი;
- ნათია გოგოლაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ქეთევან კვიცარიძე - ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი;
- მანანა ნანიტაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

- ირინა გორგილაძე - მმართველობის სკოლის დეკანი;
- ნესტან ციციშვილი - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;

- ნანი მაჭარაშვილი - საჯარო მმართველობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი;
- ცირა ელისაშვილი - ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
- ვანო ცერცვაძე - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- გიორგი თურქია - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
- ნიკოლოზ აბუაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
- დავით წასიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ნიკა გიგაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
- მარიამ კეკელიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- ლუკა ბერაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- მ. აბდულ რაუფი (თავმჯდომარე) (I);
- ეკა ლეკაშვილი (I);
- თეა კასრაძე (I);
- თამთა ცხოვრებაძე (I);
- ნინო ალავიძე (I);
- იურგიტა ვიზგირდაიტე (II);
- მერაბ ხოხობაია (II);
- თამარ ბერიშვილი (II);
- ირმა ქურდაძე (II);
- მირანდა ნონიკაშვილი (II).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ, **გოჩა თუთბერიძემ.**
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო, "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო და სადოქტორო და "ადგილობრივი თვითმმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი;
3. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის განხილვა;

4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ხელოვნებათმცოდნეობის” (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი ხელოვნება-მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისთვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

საბჭოს წევრებმა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის და ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო, "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო და სადოქტორო და "ადგილობრივი თვითმმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე შუამდგომლობა დააყენეს დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე საკითხების შემდგომ საბჭოზე გადადების შესახებ.
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა, ცენტრის შუამდგომლობით მიმართა საბჭოს წევრებს დამატებით განეხილათ სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, რომელთაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2022 წლის 01 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების საკითხი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო, "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო და სადოქტორო და "ადგილობრივი თვითმმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი;
3. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, რომელთაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2022 წლის 01 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხების ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს განსახილველ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას საკითხთან მიმართებით. წარმომადგენელ(ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს განსახილველი საკითხის ირგვლივ.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, აბდულ რაუფი (M. Abdul Rauf), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტში გაცემული იყო სამი რეკომენდაცია, კერძოდ, რეკომენდებულია პროგრამის მიზნების განახლება თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ისეთი ახალი ტენდენციების მკაფიოდ გათვალისწინებით, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტი და მდგრადი განვითარება. ასევე რეკომენდებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების იმგვარად ინტეგრირება, რომ მკაფიოდ ასახავდეს ციფრულ ტრანსფორმაციას, მდგრად განვითარებასა და ტექნოლოგიურ მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკასთან შესაბამისობას. გარდა ამისა, რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებული წესებისა და პროგრამის სტრუქტურის საფუძვლიანი გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა აკრედიტებულ ოთხწლიან ხანგრძლივობასთან. აბდულ რაუფის (M. Abdul Rauf) თქმით, მეორე სტანდარტში გაცემული იყო შემდეგი ხუთი რეკომენდაცია: რეკომენდებულია მოხდეს ანალიზი ჩარიცხული სტუდენტების, მოქმედი სტუდენტების და კურსდამთავრებულების შესაბამისობაში მოყვანის და შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით. ასევე რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს აკადემიური წერის სტანდარტებსა და ცოდნისა და უნარების სათანადო გამოყენებაზე. რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რა პირობებში მიიღებს სტუდენტი კონკრეტულ ქულას. გარდა ამისა, რეკომენდებულია ლექტორებისთვის ტრენინგების ჩატარება "პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის, პრევენციისა და მათზე რეაგირების წესის" სწორად გამოყენების შესახებ.

რეკომენდებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის პროცესის ფორმალიზება, პროგრამის კომიტეტის უფლებამოსილების გაძლიერება, რათა მოხდეს ამ შედეგების საფუძვლიანი განხილვა და კონკრეტული სამოქმედო გეგმების შემუშავება. მესამე სტანდარტში გაცემული იყო რეკომენდაცია პროგრამის დონეზე შიდა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება კუთხით. მეოთხე სტანდარტში მოცემული იყო ოთხი რეკომენდაცია, კერძოდ, რეკომენდებულია დაწესებულებამ გააძლიეროს კონტროლი აკადემიური და განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის რაციონალურ კვირეულ დატვირთვაზე, რათა არ გადააჭარბოს შრომის კანონმდებლობით დადგენილ 40 საათს, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს პერსონალის საქმიანობის ხარისხზე. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის წახალისების უფრო მკაფიო მექანიზმების შემუშავება, რაც ასევე აისახება პროგრამის ბიუჯეტში. რეკომენდებულია მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაძლიერება (მეტი საინფორმაციო ტექნოლოგიები აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკაში), რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას. ასევე რეკომენდებულია პროგრამის საჭიროებების შესაბამისად ფინანსური რესურსების გადახედვა. მან აღნიშნა, რომ მეხუთე სტანდარტში შემდეგი ორი რეკომენდაცია იყო გაცემული: რეკომენდებულია დამატებითი მექანიზმების შემუშავება ან ისეთი ინსტრუმენტების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს მოსალოდნელი გამოწვევებისა და რისკების აღმოფხვრას და ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურ ინტერვენციებს. რეკომენდებულია პროგრამის დონეზე მონიტორინგის გაძლიერება და შედეგების გამოყენება არა მხოლოდ პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად, არამედ როგორც პრევენციული მექანიზმი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. საერთაშორისო ექსპერტმა, აბდულ რაუფმა (M. Abdul Rauf), ბოლოს აღნიშნა, რომ ეს იყო ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა მოწოდებული ინფორმაციისა და ინტერვიუების შედეგების გულდასმით განხილვის შემდეგ შეიმუშავა. მისი თქმით, პროგრამა ხუთივე სტანდარტის მიხედვით დადგენილ მოთხოვნებს შეესაბამება. ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა 2.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაციის სახით დასკვნაში არ იყო მოცემული, თუმცა ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს მეთოდოლოგიურ ნაწილზე. უნივერსიტეტს პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდოლოგია აქვს. მისი თქმით, ამ ნაწილში ექსპერტების მიერ აქცენტი გაკეთებული იყო სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი აცხადებს ას ადგილს, მაგრამ იღებს ძალიან მცირე რაოდენობის სტუდენტს. ამ უკანასკნელსაც მხოლოდ გარე მობილობის ფარგლებში. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა შეისწავლოს ის მიზეზები, რომლებიც დაკავშირებულია სტუდენტთა მიღების რაოდენობასთან დაკავშირებით. ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების პასუხი იყო ის, რომ იკვლევდნენ და სტუდენტთა მცირე რაოდენობის მიღების მიზეზი პროგრამაზე დაწესებულების არაპოპულარობა იყო. 2.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა საკონფერენციო მოხსენების კრებულებს დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში დაცული არ იყო აკადემიური წერის სტანდარტები. მისი თქმით, ეს იყო ფაქტი და ამაზე თვალს ვერ დახუჭავდნენ. რაც შეეხება პერსონალის დატვირთვის საკითხს, დანართ 10-ში მოცემულია აკადემიური პერსონალი 40-ზე მეტი საათით. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია გაუგებარია. ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამული ბიუჯეტი 225 000 ლარია, საიდანაც 10 000 ლარი გამოყოფილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების მიზნით. შესაბამისად, ერთია შესაბამისი მუხლის არსებობა, ხოლო მეორე მისი დატვირთვა და პრაქტიკაში განხორციელება. ექსპერტმა თეა კასრაძემ ადამიანურ რესურსებთან და პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მეათე დანართში მოცემულია 46-48 საათი. ამ უკანასკნელში არ მოიაზრება

კონსულტაციები. ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსმა, ქეთევან კვიცარიძემ, განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო რა დოკუმენტზე საუბრობდნენ ექსპერტები. მან განმარტა, რომ დანართის სახით უნივერსიტეტს არაფერი წარმოუდგენია. აღნიშნული დოკუმენტი დახარვეზების პროცესში ჩანაცვლდა Excel-ის ფორმატის დოკუმენტით. მისი

თქმით, ეს დოკუმენტი ამობეჭდილი სახით ექსპერტებს მიეწოდათ შეხვედრაზე. ამრიგად, დოკუმენტზე, რომელზეც ახლა მიმდინარეობს საუბარი, არ არის ვალიდური. ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რეკომენდაციების გაცემისას ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა იმ დოკუმენტებით, რომლებიც ცენტრის მიერ იყო მოწოდებული. თეა კასრაძემ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მწირი იყო ის მატერიალური ტექნიკური რესურსი, რომელიც ვიზიტის დროს დახვდა ექსპერტებს. კომპიუტერული ტექნიკის ნაკლებობა შეინიშნებოდა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი და პატარა პრინტერი, რომელიც არ არის საკმარისი ბიბლიოთეკის სრულყოფილად განხორციელებისთვის. შესაბამისად, ამიტომ გაიცა ეს რეკომენდაცია. რაც შეეხება ბიუჯეტს, გარკვეული თანხები არსებობს, მაგრამ მწირია ეს ყველაფერი. გასაუბრების დროს აკადემიური პერსონალის მიერ აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს და აქვს წამახალისებელი მექანიზმები, კერძოდ, აფინანსებს სტატიების გამოცემას, კონფერენციებში მონაწილეობას და ა.შ. რეკომენდაცია გაიცა მხოლოდ თანხის სიმწირიდან გამომდინარე. მაგალითად, აფილირებული აკადემიური პერსონალის საერთაშორისოდ მაღალი რეიტინგის მქონე პუბლიკაციების დაფინანსებისთვის 500 ლარია გამოყოფილი ბიუჯეტში. ეს თანხა შეიძლება ერთი სტატიისთვისაც არ იყოს საკმარისი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების რექტორი, თამარ გარდაფხაძე, მიესალმა აკრედიტაციისა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ თითოეული რეკომენდაცია პროგრამის განვითარების მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია და მისაღებია როგორც პროგრამის ხელმძღვანელისთვის, ისე აკადემიური პერსონალისთვის. მისი თქმით, არგუმენტირებულ პოზიციაში დეტალურად არის რეკომენდაციების შესახებ დაწესებულების პოზიცია მოცემული. მან ექსპერტებს მადლობა გადაუხადა არგუმენტირებული პასუხის გაცნობის შემდეგ სამი რეკომენდაციის ამოღებისთვის. მისი თქმით, საერთაშორისო ექსპერტმა მეორე სტანდარტში არსებულ 2.1 რეკომენდაციაზე ისაუბრა, რომელიც დასკვნაში მოცემული არ იყო. რაც შეეხება მეოთხე სტანდარტს, ექსპერტები წერენ, რომ დაწესებულების მიერ დოკუმენტებში იკითხებოდა ორმოც საათზე მეტი დატვირთვა პროფესორებზე. თამარ გარდაფხაძის თქმით, არცერთ პროფესორს არ აქვს ორმოც საათზე მეტი დატვირთვა. როდესაც ექსპერტები ასეთ საკითხზე მსჯელობენ, აუცილებელია მიუთითონ პროფესორის სახელი და გვარი. ამის შესახებ დასკვნაში არაფერია მოცემული. 4.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ბიუჯეტი, სადაც ასახულია კონკრეტულად სამეცნიერო წახალისების ზომები. 4.4 რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ გაუგებრობას აქვს აქ ადგილი, რადგან ბიბლიოთეკაში დგას როგორც ქსეროქსის აპარატი, ისე კომპიუტერები. თუ ექსპერტები ამ რეკომენდაციაში გულისხმობენ ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით გამრავალფეროვნებას, მაშინ დაწესებულება მას. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელმა, მანანა ნანიტაშვილმა, აღნიშნა, რომ ყველა სტანდარტი დარგობრივ მახასიათებელთან არის მეტწილად შესაბამისობაში. გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულებას აქვს საკუთარი პოზიცია, განსაკუთრებით პირველ სტანდარტთან დაკავშირებით. მისი თქმით, საერთაშორისო ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა სამ ძირითად კომპონენტზე: ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტი და მდგრადი განვითარება. პროგრამაში არსებითად განხილულია ტექნოლოგიებისა და ბიზნესის განათლების ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული ის ნაბიჯები, რომლებიც თეორიულად გარკვეული თემების სახით არის წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსში. თუმცა დაწესებულება იზიარებს ექსპერტების შენიშვნებს, რადგან ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის უფრო სიღრმისეულად გადადგმული ნაბიჯები ბევრად რელევანტურს და კონკურენტუნარიანს გახდის პროგრამას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნათია გოგოლაურმა, განაცხადა, რომ

ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები პროგრამასთან დაკავშირებით იყო მკაცრი. მისი აზრით, დაწესებულება არ არღვევს საქართველოს კანონმდებლობითა და სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, გარკვეული რეკომენდაციების რჩევებში გადატანა უფრო რელევანტური იქნებოდა. მიზნებსა და შედეგებში არის ისეთი ტიპის ჩანაწერები, რომლებიც მოიცავს ამ ტიპის აქტივობებს. შესაბამისად, ეს შეიძლება იყო რჩევა და არა რეკომენდაცია. მისი თქმით, პროგრამის დონეზე არის ერთი სავალდებულო უცხო ენა. ასევე არსებობს არჩევის საშუალება გერმანული და ჩინური ენის სახით. დარგობრივი ინგლისური ენა გაძლიერებულია. დაწესებულებას აქვს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები სტუდენტისთვის შეთავაზებული როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსების სახით. დაწესებულებაში „ერასმუსის პროგრამის“ ფარგლებში ჩამოდიან პროფესორები, რომლებიც სტუდენტებთან კვირეული 8 საათის განმავლობაში კითხულობენ ლექციებს. მაშინ, როდესაც ექსპერტები უნივერსიტეტში ვიზიტზე იმყოფებოდნენ, პროგრამის განხორციელებაში უცხოელები არ მონაწილეობდნენ, თუმცა ამჟამად უკვე ეს ხორციელდება. ჩინური ენის სწავლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ პირველად შესთავაზა სტუდენტს არჩევითი კურსის სახით ჩინური ენა. ადამიანი, რომელიც ამ კურსს უძღვება, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, რომელიც ჩინურ ენას C1 დონეზე ფლობს. ამრიგად, უნივერსიტეტი ფიქრობს, რომ პირველი, მეორე და მერვე რეკომენდაცია რჩევებში უნდა გადავიდეს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებული წესებისა და პროგრამის სტრუქტურის საფუძვლიანი გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა აკრედიტებულ ოთხწლიან ხანგრძლივობასთან. ნარატივში წერია, რომ გასაუბრების საფუძველზე გაირკვა, რომ აკრედიტებულ ოთხწლიან ხანგრძლივობაზე ადრე შეიძლება დამთავრება, რაც ბადებს კითხვებს. მას აინტერესებდა, რა იყო ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. საერთაშორისო ექსპერტმა, აბდულ რაუფმა (M. Abdul Rauf), განაცხადა, რომ ოთხ წლამდე ადრე პროგრამის დასრულების შემთხვევა არსებობს. ეს თავად კურსდამთავრებულებმაც აღნიშნეს. სამოცდაათი კრედიტის მოპოვება ოთხ წელიწადზე ნაკლებ პერიოდშია შესაძლებელი. ეს ნაწილი ბუნდოვნად იყო წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურაში, კერძოდ, რამდენად არის ტექნიკურად უზრუნველყოფილი, დიდაქტიკური და პედაგოგიური თვალსაზრისით. ასევე რა მოთხოვნებია საჭირო იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბოლოო კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენციები და უნარები ჰქონდეს პროგრამის კურსდამთავრებულს. შესაბამისად, ამ ნაკლები პერიოდის განმავლობაში და ასეთი კრედიტების მოცულობის შემთხვევაში როგორ არის ეს უზრუნველყოფილი გაუგებარია. დაწესებულების რექტორმა, თამარ გარდაფხაძემ განაცხადა, რომ საქართველოში არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე დასაშვებია, რომ ნებისმიერმა სტუდენტმა სურვილის შემთხვევაში სამოცდათხუთმეტი კრედიტი გაიაროს. ექსპერტებს ამ ნაწილზე შენიშვნა არ ჰქონიათ. სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, აქ საუბარი იყო ასეთი ფაქტის არსებობაზე თუ თეორიული შესაძლებლობის დაშვებაზე. ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ სამი ისეთი კურსდამთავრებულის შესახებ მოაწოდა ექსპერტებს ინფორმაცია, რომლებმაც 4 წელზე ადრე დაამთავრეს უნივერსიტეტი. აქ პრობლემურია ასეთი შესაძლებლობის შეთავაზების დაშვება, რომ მან არ მიიღოს ტენდენციის სახე. ეს არ უნდა იყოს განხილული როგორც უნივერსიტეტის კონკურენტული უპირატესობა. თამარ გარდაფხაძემ განაცხადა, რომ „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამაზე კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი 362 და აქედან დაახლოებით 10% არის ისეთი, რომელთაც წლის ბოლოს დამატებული აქვს კრედიტები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნათია გოგოლაურმა, 5.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა რომ, ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახური, რა თქმა უნდა, ჩართულია ამ პროცესში. დაწესებულება უზრუნველყოფს იმას, რომ სავალდებულო სასწავლო კურსების გავლის სტრუქტურა, წინაპირობები, საკანონმდებლო მოთხოვნები დამატებით 15 კრედიტთან დაკავშირებით არ იყოს დარღვეული. სხვა მხრივ პრობლემა არ ყოფილა. საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, არსებული მატერიალური ტექნიკური ინფრასტრუქტურით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა შეიძლებოდა თუ არა. ექსპერტმა თეა კასრაძემ განაცხადა, რომ ის მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც ვიზიტის დროს ინახა, არის მწირი, თუმცა დაწესებულების მხრიდან გაჟღერდა ინფორამაცია, რომ აპირებდნენ კომპიუტერების შეძენას. გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ ექსპერტებს უნდა მოეთხოვათ საერთო რაოდენობა ყველა სტუდენტის და ისე გაეკეთებინათ გაზომვა ამ საკითხის. ექსპერტმა ეკამ ლეკაშვილმა განაცხადა, რომ ამიტომ იყო მოთხოვნა, რომ მეთოდოლოგიაში დაზუსტებული ყოფილიყო კონტინგენტთან დაკავშირებით რა რაოდენობის კომპიუტერი იყო საჭირო შემდეგ კრიტერიუმთან შესაბამისობაში შედარებისა და განხილვის მიზნით. გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას შრომის ბაზრის ანალიზთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, შემთხვევითი პირობით არჩეული 83 რესპონდენტი რამდენად რელევანტურ შედეგეს იძლეოდა. ასევე სამომავლოდ თუ იგეგმებოდა რეალური შრომის ბაზრის კვლევის გაკეთება. ნათია გოგოლაურმა განაცხადა რომ, „ტურიზმის“ პროგრამის ფარგლებში და „ბიზნესის“ პროგრამის ფარგლებში შრომის ბაზრის კვლევა ცალკეა გაკეთებული. გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას დასახვეწი აქვს მეთოდოლოგია. ასევე ახლიდან აქვს ჩასატარებელი შრომის ბაზრის კვლევა, რადგან სტუდენტის გამოკითხვა არ წარმოადგენს შრომის ბაზრის კვლევას. თამარ გარდაფხაძემ განაცხადა, რომ შრომის ბაზრის კვლევას აკეთებს ისეთი ცნობილი ორგანიზაცია, როგორიცაა „ეიერსი“, რომლის ხელმძღვანელია ხათუნა ხაჟომიაა. მისი თქმით, თუ შესაძლებელი იქნებოდა ხათუნა ხაჟომია დაესწრებოდა სხდომას და უფრო დეტალურად ისაუბრებდა ამ საკითხზე. სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, განმარტა, რომ მსგავს ფორმატს არ ითვალისწინებდა საბჭო. საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ, განაცხადა, რომ ეთანხმებოდა გიორგი ღაღანიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ბიუჯეტის პროგნოზირება, კვლევა და სხვა მომსახურება უნდა დაზუსტდეს და გახდეს რეალური. მაგალითად, წარმოდგენილ ბიუჯეტში არის 100 საპროგნოზო რაოდენობა მისაღები სტუდენტების. როგორც წინა წლების სტატისტიკა ცხადყოფს, დაწესებულება ითვისებდა გამოცხადებული ადგილების დაახლოებით 20-25%-ს. შესაბამისად,ლოგიკურია, რომ ამ ადგილების განსაზღვრის მეთოდოლოგია გადასახედია. ბიუჯეტი კარგია, თუმცა ხარჯვითი ნაწილი მას მიყვება როგორც პროპორციულად, ისე არაპროპორციულად. თუ 100 სტუდენტზეა განსაზღვრული ბიუჯეტი, მაშინ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ წინა სამი წლის მსგავსად იქნება სტუდენტთა რაოდენობის ნახევრის მიღება. როდესაც ბიუჯეტში არის ბევრი ხარჯის ერთეული და არის ფიქსირებული, სტუდენტთა რაოდენობაზე დამოკიდებული, ამან შეიძლება ბიზნეს და კომერციულობის რისკი გამოიწვიოს. რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, დაკვირვების პერიოდის მონაცემები „ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის“ პრაქტიკულად ფარავს კოვიდის პერიოდს. მას აინტერესებდა, რამდენად ვალიდური იყო კოვიდის შემდეგ ბიზნეს სექტორში 2022-2023 წლის ზრდა.

აკაკი ხელაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ბიუჯეტში არის ხარჯვის ერთეული - „სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიების ხელშეწყობა“ 1500 ლარი. მას აინტერესებდა, რის საფუძველზე მოხდა ასეთი აქტივობის წლიური ხარჯის დაანგარიშება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ გარდაფხაძემ, განაცხადა, რომ სპორტული ღონისძიების თუ კონფერენციის ჩატარებისთვის დაწესებულება ქირაობს დარბაზს. ამისთვის გამოყოფილია არა მარტო 1500, არამედ სარეზერვო თანხაც დაახლოებით 38 675 ლარი. 1500 ლარი არის მხოლოდ მინიმალური თანხა სპორტული აქტივობებისთვის, შემეცნებითი ღონისძიებებისთვის განკუთვნილი. აკაკი ხელაძემ განმარტა, რომ სარეზერვო თანხა ხმარდება

გაუთვალისწინებელ შემთხვევებს. კარგი იქნებოდა თუ ეს იქნებოდა ხარჯის ერთეულში მოცემული და არა რეზერვში. საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს პირველ და მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მისი თქმით, დასკვნაში აღწერილია, რომ დარგობრივ მახასიათებელს კარგად შეესაბამება პროგრამის მიზანი და შედეგები, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი ამბობს, რომ კარგი იქნებოდა დაწესებულებამ გლობალიზაციის პირობებში აუბას ფეხი მიმდინარე ცვლილებებს, ციფრული ტრანსფორმაციის, ხელოვნური ინტელექტის მდგრადობის წარმოჩენას. დაწესებულებას მიზანშიც და სწავლის შედეგებშიც აქვს ბიზნეს გარემოს შესწავლა, ცვლილებების მართვა და ა.შ. მოცემული. მას აინტერესებდა, მიმდინარე თანამედროვე მოვლენები იფარება თუ არა ბიზნეს გარემოს შესწავლასა და ცვლილებების მართვაში. ის ფიქრობს, რომ სწავლის შედეგები ამ ყველაფერს მოიცავს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო კურსები. ამ ორი რეკომენდაციის შინაარსი იდენტურია. მისი აზრით, აღნიშნული რეკომენდაციები ატარებს უფრო რჩევის და არა რეკომენდაციის ხასიათს. ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა განაცხადა, რომ დარგობრივი ჩარჩო სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, მაგრამ დღეს იმდენად სწრაფად ვითარდება მოვლენები, განსაკუთრებით ბიზნესისა და განათლების სფეროში, რომ ის შედეგი, რომელიც ახლა განიმარტა, ზოგადია, ხოლო ის, რაც რეკომენდაციებშია მოცემული კონკრეტული. ეს ეხება ციფრულ ტრანსფორმაციას, ხელოვნური ინტელექტს და მდგრად განვითარებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ჯგუფებთან საუბრისას დადგინდა, რომ ყურადღება მათზე არ იყო გამახვილებული. შესაბამისად, ყურადღება უნდა გამახვილდეს სწავლების პროცესში სასწავლო მასალების, სწავლის მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების გამოყენებაზე. ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტი და მდგრადი განვითარება უნდა იყოს წითელი ხაზი ამ პროგრამის პერსპექტიული განვითარებისთვის.

საერთაშორისო ექსპერტი, აბდულ რაუფი (M. Abdul Rauf), დაეთანხმა ეკა ლეკაშვილს და განაცხადა, რომ შესაძლებელია პირველი და მეორე რეკომენდაციის გაერთიანება. მისი თქმით, თამარ გარდაფხაძემ ვიზიტის დროს განაცხადა, რომ კურიკულუმში იყო ეს ყველაფერი ჩართული, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ეს აისახოს სასწავლო მიზნების და შედეგების ნაწილშიც. მანანა ნანიტაშვილის თქმით, ის ეთანხმებოდა ციური დურულის მოსაზრებას. მან აღნიშნა, რომ ბიზნესში საკმაოდ მაღალია დინამიზმი. შესაბამისად, ცვლილებებთან სწრაფი ადაპტირების საშუალებას ეს პროგრამა იძლევა. დაწესებულების წარმომადგენელმა თანმიმდევრულად დაასახელა სტრუქტურა, რომელშიც შეთავაზებულია: ინოვაცია და მეწარმეობა, ციფრული ბიზნესი, მდგრადობა და სოციალური პასუხისმგებლობა, ინოვაციური მენეჯმენტი,. მისი თქმით, ფაქტობრივად ციფრული ეკონომიკის ყველა ასპექტი ასახულია წარმოდგენილ სილაბუსებში. ეს ცვლილებები და სწრაფი ადაპტირება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მიმდინარე ტენდენციებიდან გამომდინარე უფრო სიღრმისეული აქცენტები გაკეთდეს ისეთ კომპონენტებზე, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია და ხელოვნური ინტელექტი. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ შეფასების კრიტერიუმები სილაბუსებში გაწერილია. დასკვნაში მოცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რა პირობებში მიიღებს სტუდენტი კონკრეტულ ქულას“მიესალმა დაწესებულებას და ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რას გულისხმობდა სიტყვა „მკაფიოდ განსაზღვრა“. საერთაშორისო ექსპერტმა, აბდულ რაუფმა (M. Abdul Rauf) ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით აქტიურობა ნაკლებია საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე როგორც სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ისე პროფესორების მხრიდან. კარგი იქნება თუ დაწესებულებაში იარსებებს გაცვლითი პროგრამები. ექსპერტმა თამთა ცხოვრებაძემ აღნიშნა, რომ იყო რიგი სასწავლო კურსები, სადაც არ იყო დაკონკრეტებული მაქსიმალური ქულის რანჟირება. ასევე მითითებული იყო 9-10 ქულა ამომწურავი პასუხისათვის, თუმცა არ იყო სპეციფირებული 10 და 9 ქულის დაწერის პრინციპი. რა თქმა უნდა, ეს ეხებოდა რამდენიმე და არა ყველა სასწავლო კურსს. ვასილ კიკუტაძემ განაცხადა, რომ ეს ყველაფერი გასაგები იყო,

თუმცა მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოება, რომ მესამე ბრძანებაში მოცემულია 91-100. შესაბამისად, აქ წინააღმდეგობა არ არის. თამარ გარდაფხაძემ განაცხადა, რომ რანჟირების საშუალებას აკრედიტაციის სახელმძღვანელო იძლევა. მაგალითად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში მოცემულია შემდეგი: „სრულად შესაბამისობა“ 5 ქულა, „შესაბამისობა“ 4-3 ქულა, „ნაკლებად შესაბამისობა“ 2-1 ქულა. ასეთი შემთხვევა მოცემულია მხოლოდ რამდენიმე სასწავლო კურსში. საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს მეხუთე სტანდარტის რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მისი აზრით, ორივე რეკომენდაციის ფორმულირება უფრო რჩევის სახეს ატარებს, ვიდრე რეკომენდაციისას. მას აინტერესებდა, რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციების გაცემის საფუძველი. თამთა ცხოვრებაძემ განაცხადა, რომ სტატიკური მოცემულობა ისეთი გამოიკვეთა ვიზიტის განმავლობაში, რომ იყო რიგი მიგნებები ექსპერტთა მხრიდან, რომელზეც უკვე გაკეთდა აქცენტი და ეს იყო არა ერთი, არამედ რამდენიმე, რომელიც შეუსაბამობაში იყო რეალურად არსებულ მდგომარეობასთან და ნაწილობრივ ასევე კანონმდებლობასთანაც. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ხარისხის უწყვეტობის ციკლიდან გამომდინარე ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ მსგავსი ნაკლოვანებები პრაქტიკაში და დაგეგმვის ეტაპზე აღმოიფხვრას. სწორედ ამ ფარგლებში არის გაცემული, როგორც ერთი, ისე მეორე რეკომენდაცია. მეორე რეკომენდაცია განსაკუთრებით ესადაგება სწორედ იმ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, რომელიც სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის დადგენილ ვადაზე ადრე პროგრამის დასრულებას გულისხმობს. ნათია გოგოლაურმა თამთა ცხოვრებაძეს მიმართა, რომ ერთი ფაქტი მოეყვანა ისეთი, რომელიც კანონთან შეუსაბამო იქნებოდა.
თამარ გარდაფხაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მხრიდან არასოდეს ყოფილა პროგრამის ისეთი რეკლამირება, რომელიც აბიტურიენტს შესთავაზებდა 4 წელზე ადრე დამთავრებას. უნივერსიტეტი ოქროს მედალოსანს სთავაზობს უფასო სწავლებას. ასევე თუ სახელმწიფო გრანტი მოიპოვა სტუდენტმა, დაწესებულება სთავაზობს მას შიდა გრანტით შევსებას. ექსპერტმა თეა კასრაძემ განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, რომ უნივერსიტეტი 4 წელზე ადრე დამთავრებას უპირატესობის სახით განიხილავდა. გარდა შთაბეჭდილებისა, ამისი დასადასტურებელი მტკიცებულებებიც არსებობს. თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ ამით დაწესებულება არაფერს არღვევდა. თუ სტუდენტი მოითხოვს დამატებით კრედიტს, მაშინ უნივერსიტეტს არ აქვს უფლება, რომ უარი უთხრას მას. საბჭოს თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, განაცხადა, რომ ამ უკანასკნელის უფლება, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტს აქვს, თუმცა ეს არ უნდა იყოს დაწესებულების პოლიტიკა. სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, საბაკალავრო ნაშრომი შეთავაზებულია არჩევით სასწავლო კურსად. სწავლის შედეგებში კვლევითი უნარების ნაწილია მოცემული. მას აინტერესებდა, რატომ არის საბაკალავრო ნაშრომი შეთავაზებული არჩევით სასწავლო კურსად მაშინ, როდესაც სწავლის შედეგებში მითითებულია კვლევითი კომპეტენციის განვითარება. ნათია გოგოლაურმა, განაცხადა, რომ მეხუთე შედეგში საუბარია ნაშრომის პროექტის პრეზენტაციაზე. გარკვეული სასწავლო კურსების სილაბუსები გულისხმობს რეფერატების მომზადებას. შესაბამისად, ეს ერთობლიობა ხელს არ უშლის სტუდენტის სწავლის შედეგზე გასვლას. საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტთა მოთხოვნით იქნა გადატანილი არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:51
დასრულების დრო: 16:53
სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 11 თებერვლამდე, 1 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 11 თებერვლამდე, 1 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

მეორე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო, "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო და სადოქტორო და "ადგილობრივი თვითმმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180.

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120.

პროგრამა №3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120.

პროგრამა №4
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 60.

პროგრამა №5
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ადგილობრივი თვითმმართველობა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხების ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს განსახილველ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას საკითხთან მიმართებით. წარმომადგენელ(ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს განსახილველი საკითხის ირგვლივ.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, იურგეტა ვიზგირდაიტე (Jurgita Vizgirdaite), აკრედიტაციის საბჭოს არ ესწრებოდა. წერილის სახით გამოგზავნილი მისი პოზიცია პროგრამებთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს გააცნო ანა ადამიამ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 7-9 ოქტომბრის განმავლობაში, რომლის დროსაც შეხვედრები გაიმართა თანამშრომლებთან და პარტნიორებთან. ექსპერტთა გუნდმა დაათვალიერა კამპუსი და გაეცნო საბოლოო ნაშრომებს. გარემო იყო პროფესიონალური და კონსტრუქციული. თვითშეფასების ანგარიშის ყველა გრაფა შევსებული იყო. მისი თქმით, თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ეხმიანება ცალკეული სტანდარტების კომპონენტების შეფასების კრიტერიუმების მოთხოვნებს. წარმოდგენილია სტანდარტების დოკუმენტების მტკიცებულების ინდიკატორების სვეტში მითითებული დოკუმენტები და ინფორმაცია. ყველა სტანდარტის მიხედვით წარმოდგენილი იყო ძლიერი მხარეები და გასაუმჯობესებელი საკითხები, თითოეულის კომპონენტების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტები. ყველა პროგრამა აკმაყოფილებს ხუთივე სტანდარტს, თუმცა არსებობს კლასტერთან დაკავშირებული რეკომენდაციები. მაგალითად, ჯგუფური პროექტების შეფასებებს აკლია თანმიმდევრულობა ინდივიდუალური შეფასების კომპონენტში, რაც უკავშირდება სტუდენტის წვლილს ჯგუფურ მუშაობაში. შესაბამისად, რეკომენდებულია უფრო მკაფიო განმარტებების ჩამოყალიბება როგორც სილაბუსებში, ასევე დავალების შეფასების კრიტერიუმებში. შეფასებაში მკაფიოდ უნდა იყოს

განსაზღვრული, თუ როგორ გაიზომება ინდივიდუალური მონაწილეობა ჯგუფურ პროექტებთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფს როგორც შუალედური, ისე საბოლოო შეფასებების გამჭვირვალობას. ეს ინფორმაცია მკაფიოდ უნდა იყოს ასახული სილაბუსებსა და დავალების კრიტერიუმებში, რათა სტუდენტებმა ნათლად გაიგონ, თუ როგორ აისახება მათი წვლილი საბოლოო შეფასებაზე. ეს რეკომენდაცია არ ეხება სადოქტორო პროგრამას. კლასტერთან და პროგრამასთან დაკავშირებული რჩევები დასაბუთებულია ანგარიშში. კლასტერთან და პროგრამასთან დაკავშირებული რჩევები დასაბუთებულია ანგარიშში. იურგეტა ვიზგირდაიტემ (Jurgita Vizgirdaite), წერილში აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერს, გარე შეფასების ძლიერი კომპონენტი აერთიანებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის მნიშვნელოვნებასა და ინოვაციურობას საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის კომპონენტს, იგი წარმოდგენილია სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა მისი გაცნობის შემდეგ დასკვნაში ცვლილებები არ განხორციელებულა. ამრიგად, პროგრამები შეესაბამება ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტმა ირმა ქურდაძემ დაამატა, რომ ეს პროგრამები ძალიან ინოვაციურია და ისინი ორიგინალური დიზაინით გამოირჩევიან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დავით წასიძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ვიზიტი განხორციელდა კონსტრუქციულ, მშვიდ და პროფესიულ გარემოში. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ორივე რეკომენდაცია გაიზიარა. კარგი იქნებოდა უფრო მეტი კონკრეტიკა იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რომელ პროგრამებს მიემართებოდა რეკომენდაციები პრობლემის მარტივად იდენტიფიცირებისათვის. საჯარო მმართველობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელმა, ნანი მაჭარაშვილმა, განაცხადა, რომ გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა შეფასების კონკრეტულ ფორმატის შემუშავებას და ჯგუფური შეფასების ფორმატირებას. სტუდენტის შეფასება ხდება საერთო პროდუქტის საფუძველზე, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტების მხრიდან არის ხოლმე საკუთარი კონტრიბუციის შეფასების პერსპექტივაც, მომავალში შეიძლება ამ მხრივაც დაიწყოს მუშაობა უნივერსიტეტმა. მისი თქმით, ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში სადავო საკითხია როგორც სტუდენტის თვითშეფასება, ისე ჯგუფში მონაწილე პირების ობიექტურობის დადგენა. ეს საკითხი კითხვებს ბადებს იმიტომ, რომ კონფლიქტის საფუძველია. ამ საკითხზე დაწესებულება კიდევ ერთხელ იმსჯელებს. რაც შეეხება რჩევების ნაწილს, რჩევები წარმოდგენილი იყო როგორც კლასტერული, ისე ინდივიდუალურ პროგრამებთან მიმართებაში.მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს დასკვნაში პროგრამების დადებითი მხარეების აღნიშვნისთვის, კერძოდ, ინოვაციურობა, პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება და ა.შ. ნანი მაჭარაშვილმა ხაზი გაუსვა საჯარო მმართველობის მიმართულებით დაწესებულების ოცდაათწლიან გამოცდილებას. „ჯიპამ“ 1995 წლიდან უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ოპერირება სწორედ საჯარო მმართველობის პროგრამებით დაიწყო და ამით ამაყობს. უნივერსიტეტი ასევე ამაყობს იმითაც, რომ კონტრიბუცია შეაქვს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორის შემდგომი განვითარების კუთხით. მან აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების გაზომვის მექანიზმებზე გაცემული იყო რჩევა. ეს მექანიზმები წარმოდგენილია თითოეული პროგრამისთვის, სწავლის შედეგების რაკურსით და დარგობრივი მახასიათებლის კუთხით არის აგებული მიზნებთან თავსებადობისა და შედეგები მიზნით. შესაბამის სასწავლო კურსებს კონკრეტული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები აქვს. ასევე მოცემულია სამიზნე ნიშნულები და მათი შესრულების გრადაციები თავისი შეფასების სისტემით. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს რჩევა უკვე შესრულებულია და წარმოდგენილია თითოეულ პროგრამაში. ქართულენოვანი ლიტერატურის დეფიციტთან

მიმართებით განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებული „კვლევის დეპარტამენტი“ აფინანსებს ელექტრონული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას. დღევანდელ დროში უნივერსიტეტი მხოლოდ მატერიალურ სახელმძღვანელოებზე არ უნდა იყოს ორიენტირებული. ხელოვნური ინტელექტის მეტად გამოყენების შესაძლებლობასთან მიმართებით აღნიშნა, რომ კვლევითი სტანდარტების ეფექტურობის მიზნით დაწესებულება მას აქტიურად არ იყენებს. უნივერსიტეტი ეძებს ისეთ მექანიზმებს, რომლებიც უზურნველყოფენ ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე პლაგიატის გამოყენების პრევენციას, რათა არ მოხდეს კომპილაციური კვლევების და შესაბამისი გადაცდომების ინტეგრირება პროგრამებში. დაწესებულებამ კლასტერული რჩევა, რომელიც ეხებოდა შუალედურ და დასკვნით შეფასების სისტემების დეტალიზაციას, გაითვალისწინა. შუალედური და დასკვნითი შეფასების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი სილაბუსებში. „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო რჩევა, რომელიც ეხებოდა „მონაცემთა ანალიზის“ სასწავლო კურსის ინტეგრირებას პროგრამაში. მან აღნიშნა, რომ თავად ექსპერტები ამ რჩევის გაცემის საფუძვლად აცხადებენ როგორც კურსდამთავრებულებთან, ისე დამსაქმებლებთან შეხვედრის საფუძველზე მიღებულ შედეგებს. მისი თქმით, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდებში მონაცემთა ანალიზი უკვე ინტეგრირებულია და არის აღწერითი და შეფასებითი ამ სტატისტიკური დამუშავების შესაძლებლობებით. ასევე საკუთარი და თვისობრივი კვლევის ფარგლებში შესაბამისი ინსტრუმენტებით მართული ანალიზის კონკრეტული მეთოდებით. შესაბამისად, ეს რჩევა გათვალისწინებულია. „ადგილობრივი თვითმმართველობის“ საგანმანათლებლო პროგრამა დიდი ხანია ოპერირებს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. ამ პროგრამის დიდი ხნის არსებობაში ცირა ელისაშვილს და ალექსანდრე სვანიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვით. ეს პროგრამა ბაზარზე უზრუნველყოფს ცენტრალურისგან განსხვავებით ადგილობრივი კადრების კვალიფიციურ ამაღლებას. დაწესებულება გამოირჩევა აქტიური კურსდამთავრებულებით, რომლებიც მაღალ პოზიციაზე არიან დასაქმებულნი. პროგრამული თავსებადობის კუთხით გაცემულია რჩევა, რომ „საჯარო მმართველობასა“ და „ადგილობრივ თვითმმართველობასთან“ არ იყოს თანხვედრა. მისი თქმით, რა თქმა უნდა, ამ პროგრამებს შორის იქნება თანხვედრა, რადგან ორივე პროგრამა საჯარო მმართველობის ხარისხით სრულდება. განსხვავებით „ისცედისგან“, რომელიც ქართულ საგანმანათლებლო კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისია, ადგილობრივი თვითმმართველობის ხარისხი არ გააჩნია და ამიტომ უწევს ოპერირება დაწესებულებას „საჯარო მმართველობით“. ხარისხთან თავსებადობა 100%-იდან 50%-ია, ხოლო დანარჩენი 50% ადგილობრივი თვითმმართველობის კურსებს ეთმობა. მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ გარე ექსპერტის თხოვნაც გაითვალისწინა და ეს ნაწილი უფრო დახვეწა. ადგილობრივ დონეზე „მუნიციპალური ნარჩენების მართვის“ სასწავლო კურსიც არის სტუდენტისთვის შეთავაზებული. შესაბამისად, ეს რჩევაც გათვალისწინებულია. სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით 3 რჩევა გიცა. პირველი რჩევა ეხებოდა პროგრამაში მეთოდოლოგიური ნაწილის გაძლიერებას. მისი თქმით, პროგრამაში ჩანს, რომ 60 კრედიტიდან 27 კრედიტი მოდის კვლევის მეთოდოლოგიაზე. შესაბამისად, ეს რჩევა გაზიარებულია. ექსპერტების მხრიდან სურვილია, რომ შეიქმნას პლატფორმა დოქტორანტებისთვის, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი კვლევის შედეგების გაზიარებას. ნანი მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ ეს პლატფორმა არაფორმალურ დონეზეა და ფორმალიზაციაზე კიდევ შეიძლება ფიქრი. მესამე რჩევა ეხებოდა პუბლიკაციების გამოსაქვეყნებელი ჟურნალების სიის წარმოდგენას. მისი თქმით, დაწესებულებას დადგენილი აქვს ორი სამეცნიერო ნაშრომის რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნება. ასევე მითითებულია ის ბაზები, სადაც ეს ნაშრომები ქვეყნდება. დაწესებულება ერიდება კონკრეტული რეფერირებადი ჟურნალების მითითებაზე, რადგან ეს შეზღუდავს დოქტორანტების პერსპექტივას. დაწესებულების აზრით, ეს რჩევაც გათვალისწინებულია. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელმა, გიორგი თურქიამ, განაცხადა, რომ თითქმის ყველა საკითხზე იყო საუბარი პანელური დისკუსიის დროს. ეს უკანასკნელი გახდა საფუძველი რჩევების გაცემის.

რეკომენდაციებში მოცემულ საკითხებზე გასაუბრების დროს საუბარი არ ყოფილა. მისი აზრით, რეკომენდაციების გაცემა დაკავშირებულია ექსპერტების ინტერვიუებთან, რომლებიც სტუდენტებთან გაიმართა. ინტერვიუებისას სტუდენტების გულისტკივილი ეხებოდა ინდივიდუალურ შეფასებას. მისი თქმით, ყველა საგანში, სადაც არის გუნდური შეფასება, ნიშანი იწერება ინდივიდუალურად. შესაბამისად, 3 კაციანი ან 4 კაციანი გუნდის მიერ გაკეთებული ნაშრომი შეფასდება სტუდენტის მიერ მასზე ინდივიდუალური მუშაობიდან გამომიდინარე. ეს არის შუალედური შეფასებები, რადგან ფინალური პროექტები არცერთ საგანში კეთდება. გიორგი თურქიას თქმით, გუნდური სამუშაო ფასდება არა მარტო იმ კომპონენტში თუ რა წვლილი შეიტანა თავის ნაშრომში, არამედ როგორ წარმოაჩინა თავისი ცოდნა, ანალიზი და ა.შ. უნივერსიტეტი ეცდება უფრო კარგად აუხსნას სტუდენტს ინდივიდუალური შეფასების წესი. რაც შეეხება ფორმალიზაციის საკითხს, სილაბუსში ეს ძალიან კარგად არის მოცემული. გუნდური სამუშაოს ერთ-ერთი მინუსი ის არის, რომ როდესაც ოთხი-ხუთი კაცი აკეთებს ნაშრომს, ლექტორი ყველას ერთნაირ ნიშანს არ უწერს. ბუნებრივია, რომ ასეთი შეფასების წესით ვიღაც ყოველთვის იქნება კმაყოფილი, ხოლო ვიღაც უკმაყოფილო.რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რჩევა იყო მეწარმეობის კომპონენტის გაძლიერება. სანამ ექსპერტები გაესაუბრებოდნენ პროგრამის ხელმძღვანელებს და პროფესორებთან ექნებოდათ შეხვედრა, მანამდე შეხვდნენ ადმინისტრაციას და აღნიშნეს, რომ დაწესებულებას სურდა მეწარმე სუბიექტად პოზიციონირება. მისი თქმით, მეწარმე უნივერსიტეტის პოზიციონირება არანაირ კავშირში არ არის ბიზნესში მეწარმეობასთან. დაწესებულება ისწრაფვის იქით, რომ კურსდამთავრებულები, ლექტორები და თანამშრომლები იყვნენ მეწარმეობის სულისკვეთებით აღჭურვილი, თუმცა არა მაინცდამაინც ბიზნესის მიმართულებით. მოცემულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს საზოგადოების შეხედულებები გათვალისწინებული. ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა არჩევითი სასწავლო კურსების გამრავალფეროვნებას. მისი თქმით, დაწესებულება არ არის დიდი უნივერსიტეტი. შესაბამისად, 10 საგნის მიწოდება სტუდენტისთვის კარგი მაჩვენებელია. ეს არის ის ნაწილი, რომელსაც დაწესებულება აფინანსებს. უნივერსიტეტის ფარგლებში მათ უამრავი სხვა საგნის არჩევის შესაძლებლობა აქვთ. მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ შესრულებულ ნაშრომებში განსხვავება არსებობს. რა თქმა უნდა, განსხვავება არის არა სახელწოდებებში, არამედ შინაარსში. ასევე ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა მასტერის შედეგზე სტუდენტის გასვლას. მისი თქმით, პროგრამა ინოვაციურია, სადაც მოდულური სწავლება გამოიყენება. პირველი მოდულის შემდეგ რეპორტინგს აკეთებს მაგისტრანტი და ნაშრომს მარკეტინგის, ფინანსების, მენეჯმენტის საკითხზე წერს. გარდა ამისა, კომპანიის აღწერას აკეთებს, რა თქმა უნდა, ფორმალურად შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზეც გადის მაგისტრის შედეგზე, თუმცა იმის გამო, რომ ამის შემდეგ 2 წელი გრძელდება კიდევ სწავლება და შემდეგ კიდე ოთხი მოდულის დათვლას უნდა გააკეთოს, დიპლომზე მუშაობა ხელმძღვანელის მეშვეობით უწევს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, 3 - 4 წლის წინ რამდენიმე უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ერთობლივად ძალიან სერიოზული შრომის ბაზრის ანალიზი გააკეთა. მას აინტერესებდა, უახლოეს მომავალში იგეგმებოდა თუ არა მსგავსი შრომის ბაზრის ანალიზის გაკეთება. „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დარგობრივი სტანდარტი მოითხოვს სტრატეგიული მენეჯმენტის კურსის აუცილებლად გათვალისწინებას პროგრამაში. მაგისტრატურის დონეზე არ ისწავლება „სტრატეგიული ლიდერობა“, რაც სავსებით მისაღები და სწორია, თუმცა მოცემული არ არის ბაკალავრიატზე. მას აინტერესებდა, ეს საკითხი იფარებოდა თუ არა რამდენიმე სასწავლო კურსით. გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ხარისხის სამსახურთან და განათლების სამინისტროსთან ერთად

დაწესებულება მუშაობს ახალ კონცეფციაზე. „ჯიპა“ არის ლიდერი ამ კონცეფციის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში.დუალური სწავლების დანერგვა და კონცეფციის შემუშავება შრომის ბაზრის კვლევის გარეშე შეუძლებელია. მისი თქმით, კვლევა ჩატარებულია. შესაბამისად, როდესაც პროგრამები გახდება საჯარო, შრომის ბაზრის კვლევაზეც ექნება დაინტერესებულ პირს წვდომა. „ჯიპას“ გადაწყვეტილებაა, რომ ბაკალავრიატში „სტრატეგიული მენეჯმენტის“ კურსი დამოუკიდებელი საგნის სახით არ ისწავლებოდეს. ეს განიხილება როგორც საბოლოო კრებული. ე.ი. როდესაც ადამიანს მარკეტინგის, ფინანსებისა და მენეჯმენტის პროცესებისა და ოპერაციების გაზიარების უნარი აქვს. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, განაცხადა, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის უნარები ნათლად არის წარმოდგენილი საგნებში. უნივერსიტეტი მის ცალკე სწავლებას არ იზიარებს. სტრატეგიული დაგეგმვის წარმართვა არ ეხება ბაკალავრის კურსდამთავრებულებს. პირველ წელს სტუდენტს უნდა შეეძლოს მენეჯერის კარგი თანაშემწეობა, მეორე წელს კარგი ანალიტიკოსობა, ხოლო მესამე წელს კარგი პროექტის მენეჯერობა. ის ფიქრობს, რომ ბაკალავრიატის დიპლომების უმრავლესობა არის ბიზნეს-გეგმა. ბაკალავრის კურსდამთავრებულები აყალიბებენ სტრატეგიებს. ცალკე კორპორატიული სტრატეგიულ მართვაზე თუ არის ლაპარაკი, ეს არ არის სტუდენტების ამოცანა. საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ ამ ყველაფრის შესრულებას დარგობრივი დოკუმენტი ითხოვდა. ნიკოლოზ აბუაშვილმა ჩამოთვალა საგნები, სადაც ისწავლებოდა სტრატეგიული მენეჯმენტი: „ბიზნესის საფუძვლები“, „მარკეტინგი“, „ბიზნესლაბორატორია“ (ყველა) და დიპლომი. ზემოთ აღნიშნული საგნები ხელს უწყობს ხედვის და სტრატეგიების ჩამოყალიბებას, სტუდენტების გადაწყვეტილებების მიღებას. მისი აზრით, სილაბუსებში ეს ყველაფერი დეტალურად არის გაწერილი. ბაკალავრიატის დონეზე „სტრატეგიული მართვის“ საკითხები იფარება იმ დონეზე, რა დონეც შეესაბამება მას. ნანი მაჭარაშვილმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში 1176 რესპონდენტი მონაწილეობდა. მან ხაზი გაუსვა იმ საკითხს თუ რამდენად დიდი ფინანსური რესურსი სჭირდებოდა მის ჩატარებას. ანალოგიური კვლევის ჩატარება დაგეგმილია 7-8 წლის პერიოდში. ამ ეტაპზე დაწესებულება უფრო ფოკუსირებულია პროგრამის სპეციფიკაზე ორიენტირებული შრომის ბაზრის კვლევების წარმოდგენაზე. უნივერსიტეტი ეყრდნობა იმ კვლევებს, რომლებსაც სხვადასხვა პარტნიორულ ორგანიზაციებთან ერთად აწარმოებს, საჯარო თუ ბიზნეს სექტორში, კონკრეტულ რელევანტურ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე კონცენტრაციით. საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა დაწესებულება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით. სასწავლო კურსი ''ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები (ფინანსები)'' მოიცავს ფინანსური აღრიცხვის საფუძვლების თემებს. აქ საუბარია ძალიან ელემენტარულ ბუღალტრული აღრიცხვების საკითხებზე. მას აინტერესებდა, იყო თუ არა აღნიშნული სასწავლო კურსი სამაგისტრო დონის. მისი თქმით, სასწავლო კურსი ''ფინანსური მმართველობითი აღრიცხვა'' ფაქტობრივად მმართველობითი აღრიცხვის თემატიკას მოიცავს და სახელმძღვანელოც შესაბამისია მითითებული. რაც შეეხება „ფინანსების“ სასწავლო კურსს, მასში მითითებულია „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ სახელმძღვანელო. მას აინტერესებდა, როგორ გადიოდა სტუდენტი ამ უკანასკნელი სახელმძღვანელოთი სამაგისტრო დონეზე. გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ „ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები“ კომპლექსური საგანია. ვატო ბერიშვილი ასწავლის არა „ფინანსურ აღრიცხვას“, არამედ „ფინანსების მართვის“ ნაწილს. მისი თქმით, ფინანსური მართვის სწავლება ფინანსური აღრიცხვის საწყისი ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია. მაშინ, როდესაც უკვე წარმოდგენა შეექმნება სტუდენტს ბაზისურად ფინანსებში შემავალ კომპონენტებზე, ამის შემდეგ ისწავლის ფინანსების მოდულში უფრო დეტალიზებულად შესაბამის საკითხებს. მან განაცხადა, რომ აღნიშნული პირველი საგნით მაგისტრანტი ფინანსების ცოდნის შედეგზე ვერ გავა. ის შედეგზე გავა მას შემდეგ, როდესაც ფინანსების მოდულს გაივლის და პროექტს გააკეთებს. ეს უკანასკნელი არის კომპანიის ფინანსური შეფასება. ნიკოლოზ აბუაშვილმა განმარტა, რომ

პირველი მოდულის მთავარი აზრი ის არის, რომ სტუდენტებს უნდა ესმოდეთ ფინანსური, მარკეტინგული, და მენეჯერული გადაწყვეტილების შინაარსი. შესაბამისად, სასწავლო კურსებიც ისეა აგებული, რომ გადაწყვეტილების თითოეული სახე განსხვავებულად შეხედოს. ციური დურულმა განაცხადა, რომ სასწავლო კურსის დასახელება, შინაარსი და სწავლის შედეგები უნდა იყოს შესაბამისობაში. მაგალითად, თუ პროგრამაში ისწავლება „ბუღალტრული აღრიცხვა“, მაშინ მისი სათანადო დასახელებისა და შინაარსის სწავლის შედეგები უნდა იყოს. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტი სამაგისტრო პროექტს თუ საამგისტრო ნაშრომს ასრულებდა. გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ სტუდენტი წერს ბიზნესის ღირებულების ზრდის გეგმას სადიპლომო ნაშრომის სახით. თუ სტუდენტი გააკეთებს ერთ კომპანიაზე, მაშინ ეს იქნება იდეალური. რა თქმა უნდა, შესაძლებელია პირველ, მეორე და მესამე მოდულზე განსხვავებულ თემაზე გაკეთება. დაწესებულების მიზანია ერთიანი ჯაჭვის შეკვრა და ბოლოს ბიზნესის ღირებულების ზრდის გეგმის გაკეთება. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, კვლევის მეთოდოლოგია პროფესიული უნარების ნაწილშია გაერთიანებული. მას აინტერესებდა, იფარებოდა თუ არა ასეთი სახით აკადემიური წერის დეტალები. ნიკოლოზ აბუაშვილმა აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდოლოგია იფარება როგორც „პროფესიული უნარების“, ისე „მარკეტინგული კვლევის“ სასწავლო კურსებით. სტუდენტი თავიდან ბოლომდე ინდივიდუალურად აკეთებს ვირტუალურ კვლევას. თემატიკიდან გამომდინარე ხდება ამა თუ იმ კვლევის გამოყენება. ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ „ოპერაციათა მართვის“ სასწავლო კურსის სილაბუსში პირველ თემად გათვალისწინებულია „ხოშგელდი და ოპერაციების მართვის როლი ბიზნესში’’. მას აინტერესებდა, აღნიშნული თემის დასახელება წარმოადგენდა თუ არა ტექნიკურ ხარვეზს. ნიკოლოზ აბუაშვილმა განმარტა, რომ სიტყვა „ხოშგელდი“ თურქულად ნიშნავს მისალმებას. მისი თქმით, მოცემული თემის ფარგლებში ძირითადი აქცენტი კეთდება კარგად აწყობილ ოპერაციების მნიშვნელობაზე. შესაბამისად, ეს არის ერთგვარი შესავალი საკითხი და ამიტომ არის თემის სახელწოდებაში სიტყვა „ხოშგელდი“. საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას სწავლის შედეგების რუკასთან დაკავშირებით. მისი თქმით, უნივერსიტეტს პროგრამის „ფაილში“ წარმოდგენილი აქვს სწავლის შედეგების რუკა, სადაც ნაჩვენებია სასწავლო კურსების კონკრეტულ სწავლის შედეგებთან მიმართებით ბმა, თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იგივე საგანი კონკრეტულ შედეგთან მიმართებით გადის ორ სხვადასხვა დონეზე. მას აინტერესებდა, რითი აიხსნებოდა ეს ფაქტი. დიანა მჭედლიშვილის თქმით, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში გაწერილია თითოეული სასწავლო კურსის მიღწევის შეფასებისათვის დადგენილი სამიზნე ნიშნულები. მაგალითად, ჯგუფის 75%-მა მიიღო 21 ქულა. მას აინტერესებდა, დადგენილი სამიზნე ნიშნულები რამდენად მიღწეულია სწავლის შედეგებთან მიმართებით. ასევე სწავლის შედეგების შეფასება რა სიხშირით ხდება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა, ნიკა გიგაურმა, განაცხადა, რომ როდესაც ერთი საგანი მონიშნულია ორ დონეზე, ეს ნიშნავს, რომ საგანი ამ შედეგზე გადის. რუკები ისეა აგებული, რომ ცოდნა და პრაქტიკა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მისი თქმით, ეს არის ცოდნისა და პრაქტიკის თანხვედრა სწავლის შედეგების გაზომვაში. მან აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების გაზომვის მექანიზმი ხუთივე პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილია. რაც შეეხება სამიზნე ნიშნულებს, პროგრამების სიახლიდან გამომდინარე განსახილველი პროგრამების სწავლის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულები გაზომილი არ არის. დარგობრივი მახასიათებელი შეცვლილია. შესაბამისად, სრულიად ახალი სწავლის შედეგებით არის პროგრამები წარმოდგენილი. მან განაცხადა, რომ ყოველი წლის ბოლოს დაწესებულება სასწავლო კურსის ნიშნულებს ზომავს და გასცემს რეკომენდაციებს პროგრამის ხელმძღვანელებისთვის მათი გაუმჯობესების მიზნით. ნანი მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ „Portal.gipa.ge“ მარტივად აკუმულირებს მონაცემებს. ეს შეძლებს სამიზნე ნიშნულებთან თავსებადობის დადგენას. რაც შეეხება აქამდე არსებულ გამოცდილებას, მან ხაზი გაუსვა ხარისხის მართვის ჯგუფის საკმაოდ სერიოზულ კონტრიბუციას პროგრამების

მხარდაჭერისთვის. სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით ზოგიერთ სასწავლო კურსში ლიტერატურა ბოლომდე მითითებული არ არის, კერძოდ, გამომცემლობა, წელი და ა.შ. შესაბამისად, აუცილებელია რომ ეს ხარვეზები დროულად აღმოიფხვრას. ასევე კარგი იქნება თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სილაბუსების სტრუქტურას კიდევ ერთხელ გადახედავს. მან კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, სასწავლო კურსები „ბიზნესი 1“ და „ბიზნესი 2“ 12 კრედიტიანია. მას აინტერესებდა, იყო თუ არა კრედიტების ეს მოცულობა დიდი. მისი თქმით, მენეჯერული აღრიცხვის სტუდენტისათვის სწავლება აუცილებელია. მენეჯერული აღრიცხვის ელემენტები აღნიშნულ სასწავლო კურსებში მცირე მოცულობით არის წარმოდგენილი. მისი აზრით, „ბიზნესი 1“ და „ბიზნესი 2“ სასწავლო კურსების სილაბუსები გადასახედია. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას, მოდულებში მაკრო და მიკრო ფინანსები დაყოფილია. მისი აზრით, ეს ალბათ პირობითად დაყოფაა, რადგან მაკროფინანსები არის საჯარო ფინანსები, კორპორაციის ფინანსები არის მიკროფინანსები. „კორპორაციის ფინანსების“ სილაბუსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მასში ისწავლება ის საკითხები, რომლებსაც სტუდენტი ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლობს. შესაბამისად, ეს ნაწილი უნივერსიტეტის მიერ გადასახედია. მაგალითად, თუ სტუდენტმა არ იცის დროში ფულის ღირებულება და ნტვ-ს ვერ ითვლის, მაშინ ეს სტუდენტი ლოგიკურია, რომ ამ პროგრამაზე არ უნდა იყოს. გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ „ბიზნესი 1“ და „ბიზნესი 2“ დამოუკიდებელი სასწავლო კურსებია. „ბიზნესი 1“ ორიენტირებულია პროცესებზე, მენეჯმენტზე, სამართლებრივ ნაწილზე, მარკეტინგის ნაწილზე. რაც შეეხება კრედიტების რაოდენობას, რა თქმა უნდა, სასწავლი სახელმძღვანელოს გვერდები არ განსაზღვრავს კრედიტების მოცულობას. კრედიტის მოცულობას განსაზღვრავს ის თუ რა დრო დახარჯა სტუდენტმა ამ საგნის მთლიანად ათვისებაში. ეს საგანი უნდა იყოს პროფესიაში შემავალი საგანი და ამ საგანზე უნდა მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების დაშენება, როგორებიცაა მარკეტინგი, ფინანსები და სხვა. რაც შეეხება „ბიზნეს 2“-ს, ეს ეხება ფინანსების, ბანკინგის საკითხს. მაგალითად, კურსდამთავრებულმა ბანკში ფული როგორ უნდა მართოს. ნიკოლოზ აბუაშვილმა განაცხადა, რომ სტუდენტები ხარჯების აღრიცხვას პრაქტიკულადაც აკეთებენ. მაგალითად, როდესაც სტუდენტები მესამე კურსზე არიან, ისინი არიან პირველკურსელების გუნდის ხელმძღვანელები, სადაც ინდივიდუალურად გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს. მარკეტინგთან დაინტეგრირებულია მენეჯერული აღრიცხვის და მენეჯერული ანგარიშების საკითხები. ნანი მაჭარაშვილმა განაცხადა, რომ საჯარო მმართველობის პროგრამებში აქცენტი გაკეთებულია ციფრულ მმართველობაზე და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობებზე, რადგან ესენი ძალიან აქტუალური საკითხებია საჯარო სექტორში. ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით ვანო ცერცვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემოტანილი აქვს ახალი პროგრამა სააკრედიტაციოდ „ციფრულ მარკეტინგი“, რომლის დიდი ნაწილი ხელოვნურ ინტელექტს, პროგრამირებას და ა.შ. საკითხებს ეთმობა. მისი თქმით, მას უნივერსიტეტი არჩევითი კურსის სახით შესთავაზებს სტუდენტებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით წასიძემ, შუამდგომლობით მიმართა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს, რომ აღნიშნულ პროგრამებზე მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო 2025 წლის 11 თებერვლით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:34
დასრულების დრო: 19:41

პროგრამა 1: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 11 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 11 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 2: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 11 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 11 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 3: საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 11 თებერვლამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 11 თებერვლამდე.

პროგრამა 4: საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 11 თებერვლამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 11 თებერვლამდე.

პროგრამა 5: ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ადგილობრივი თვიმმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 11 თებერვლამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ადგილობრივი თვითმმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 11 თებერვლამდე.

მესამე საკითხი: სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, რომელთაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2022 წლის 01 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების საკითხის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანანაშვილმა, ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის ვადებზე და საკანონმდებლო საფუძველზე. აღნიშნა, რომ ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 ივნისის №739910 და №739908 ბრძანებებით დამტკიცებულია ,,2022წლის 01 ივნისის მდგომარეობით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების მიერ 2022–2028 წლებში ხელახალი აკრედიტაციის გავლის ეტაპები" და,,2022–2028 წლებში ხელახალი აკრედიტაციის ვადების განსაზღვრის მიზნით, 2022 წლის 01 ივნისის მდგომარეობით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი", რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის ვადები დამოკიდებულია "სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" სწავლის სფეროებზე. მიმდინარე ეტაპზეც, ცენტრის ინიცირებით ამ ბრძანებებში განხორციელდა მიზნობრივი ცვლილებები. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 10 დეკემბრის №1595816 და№1595814 ბრძანებების შესაბამისად, ცვლილებები შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის2022 წლის 30 ივნისის №739910 და №739908 ბრძანებებში, რომლის თანახმად,სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული 041 - ბიზნესი და ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის ვადა განისაზრრა 01 მარტით, ხოლო 011 განათლების ვიწრო სფეროს პროგრამებისთვის აკრედიტაციის ვადა განისაზღვრა - 2025 წლის 01 სექტემბრით.

აღნიშნული ცვლილება მინისტრის ბრძანებით არ შეხებია 2022 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით აკრედიტებულ ბიზნესის და განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს. ცენტრმა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან კოორდინაციის შედეგად, მოახდინა იმ საგანმანათლებლო პროგრამების იდენტიფიცირება, რომლებსაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2022 წლის 01 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით და რომელთა სწავლის სფეროები წარმოდგენილია 041 ბიზნესისა და ადმინისტრირების და 011 განათლების ვიწრო სფეროებში. აღნიშნული საკითხი საბჭოს წინაშე განხილულ იყო 2025 წლის 15 იანვრის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე და საბჭომ მიიღო გადაწყვეტილებები, საგანმანათლებლო პროგრამების ვადების გახანგძლივებაზე. თუმცა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ მიმდინარე ეტაპზე დამატებით მოგვაწოდა სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა აკრედიტაციის ვადები განსაზრულია 2025 წლის 01 ივლისით. შესაბამისად, ამ პროგრამების აკრედიტაციის ვადის გახანგძლივებაზე უფლებამოსილია აკრედიტაციის საბჭო. ცენტრის თანამშრომელმა სთხოვა საბჭოს წევრებს, ემსჯელათ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებებში ცვლილების განხორციელების თაობაზე და საჭიროების, შემთხვევაში შეეძლო შესაბამის კითხვებზე პასუხი.

პროგრამა 1: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს: გიორგი ღაღანიძემ, ვასილ კიკუტაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 23 მაისის №567508 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 10 დეკემბრის №1595816 ბრძანების გათვალისწინებით, "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 23 მაისის №567508 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართ №1-ში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 01 სექტემბერი.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

პროგრამა 2: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპეციალური მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
"სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 23 მაისის №567502 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 10 დეკემბრის №1595816 ბრძანების გათვალისწინებით, "სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 23 მაისის №567502 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართ №1-ში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 01 სექტემბერი.

პროგრამა 3: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
"ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 20 სექტემბრის №1186548 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 10 დეკემბრის №1595816 ბრძანების გათვალისწინებით, "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის

ქართული უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 20 სექტემბრის №1186548 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართ №1-ში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 01 სექტემბერი.

ყველა საკითხის დასრულების შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 11 თებერვლის 19:55 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ადმინისტრაციული
შეტყობინება
ელექტრონულად